საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 318 2019 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

„სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 აგვისტოს №1725 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 აგვისტოს №1725 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ლ. საყვარელიძის

სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა, რომ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის ფარგლებში შპს „University Research Co.“-ის საქართველოს ფილიალის (შემდგომში – URC) მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ტუბერკულოზის სწრაფი დიაგნოსტიკისთვის შესყიდული და სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის გადაცემული და მის ბალანსზე არსებული 2 ცალი GeneXpert სისტემა უსასყიდლოდ, დროებით ვადიან სარგებლობაში, არა უმეტეს 2020 წლის 31 დეკემბრისა, აუქციონის გარეშე გადასცეს შპს „ნიუ ჰოსპიტალსსა“ და სს „რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოს“, ტუბერკულოზის შემთხვევების აქტიური მოძიების, სეპარაციისა (იზოლაციის) და მკურნალობის სტრატეგიის FAST (Fasting TB cases Actively, Separating safely, Treating effectively) დანერგვის მიზნით, ქვეყანაში ტუბერკულოზის შემთხვევების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის გასაუმჯობესებლად.“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**